№ 31

ხუთშაბათი, 10 თებერვალი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

№ 31

ხუთშაბათი, 10 თებერვალი, 1900 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

**გრიგოლ ივანეს ძე და ელისაბედ სერგეის ასული მირზოევები და კნ. მარიამ ივანასეს ასული და თავ. ნიკოლოზ ვასილის ძე არღუთინსკი-დოლგორუკოვები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა

## დარია ზაქარიას ასულის მირზოევისას.

პანაშვიდი ყოველ დღე იქმნება გარდახდილი საღამოს 6 საათზე. დასაფლავების დღე ცალკე იქმნება გამოცხადებული.

(1—37—1)

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 10 თებერვალს 1900 წ.

## ბ ე ნ ე ფ ი ს ი

## ვლ. ალექსი-მესხიშვილისა

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან, ნინა ჩხეიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## ე დ მ ო ნ დ კ ი ნ

დრამა 4 მოქმ. თხზ. დიუმასი თარგ. ვ. გუნიას-მიერ

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

ადგილების ფასი საბენეფისოა.

დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი.**

## ქართველ ქალთა სამკერვალო

მიიღებს კაბებს შესაკერად.

იქვე მიიღებენ შეგირდებს: ღარიბებს მუქთად, ხოლო დანარჩენთ თითო მანეთი უნდა გადაიხადონ.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ჰრა-კერვის კურსებზედ.

**საჭიროა გამოცდილი ტანისამოსის მკერავი ქალი სამკერვალოსათვის.**

სამკერვალო შეკვეთილ საქმეს პირიანად და დროზედ ასრულებს.

ადრესი: ბარონის ქუჩა, № 12.

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების ა.

ს. რონინაშვილის ნაანდერძევის ფოტოგრაფიაში საჭიროა ხაზინადარი—ქალი, მსურველებთ ამ ადგილის მიღებისა შეუძლიანთ მიმართონ თხოვნით ხსენებულ საზოგადოების კანცელარიას არა უგვიანეს 15 თებერვლისა.

**ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი** აუწყებს ამა მაზრის თავად-აზნაურთ, რომ ამა 1900 წლის 15 თებერვალს, დილის 10 საათზედ, ტფილისის გუბერნიის დეპუტატთა საკრებულოს სადგომში, სასახლის ქუჩაზედ, დანიშნულია კრება ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურობისა დასთხოვს იმ თავად-აზნაურთ, რომელთაც უფლება აქვთ ამ კრებაზედ და წრებისა, კრების დაწყებამდე დეპუტატთა საკრებულოს კანცელარიაში წარმოადგინონ ამ უფლებათა საბუთნი, რათა სიაში იქმნან ჩაწერილნი და ნება მიეცეთ საქმეთა გარდაწყვეტასა და არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა.

ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თავ. გ. აფხაზი

(3—6.—2)

## ე ქ ი მ ი
## კ. ი. გძელიშვილი

მ ი ი ღ ე ბ ს

**ყელისა, ცხვირისა და ყურით** ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. **Михайловская, противъ кирки.**

(100—31—94)

შაბათს, 12 თებერვალს, 1900 წელს

„ტფილისის სობრანიეში"

ტფილისის სამუსიკო სასწავლებელში სწავლა დამთავრებული **ზაქ. პ. ფალიაშვილი** უმაღლეს მუსიკალურ სწავლის განსაგრძობად გამართავს

## კონცერტს.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ე. ლ. სოკოლოვისა, ბ-ნნი ვ. რ. ვილშაუ, ნ. დ. კოვალენსკი, ი. r. აგასოვისა, კ. დ. ყიფიანი და

## მომღერალთა გუნდი

ზაქ. პ. ფალიაშვილის ლოტბარობით. მომღერალთა გუნდი შეასრულებს ქართულ და რუსულ სიმღერებს.

კონცერტის შემდეგ **გაიმართება**

## ცეკვაობა.

მსურველთ ბილეთები შეუძლიანთ იყიდონ „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში, ი. პ. ფედოტოვის სამუსიკო მაღაზიაში (გოლოვ. პროს. ზუბალოვის სახლი, № 7), ხოლო კონცერტის დღეს სობრანიეში.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ

გამგე ზაქ. პ. ფალიაშვილი

(3—უ.—2)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ.

**ე. პ. გაუდელინი.** 11—12 ს. ყოველ დღე, გარდა შაბათისა შინაგანი და ბავშვების ავად.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბაგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**გ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი ავადმყოფობის.

**საღამოობით:**

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**გ. ა. ნავასარდიანი.** 7—$7^1/_2$ საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშნვით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

**Первая частная лѣчебница** ***Д-ра Навасардіана.***

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**

(—1—წ).

## ახალი ამბავი

*** დღეს ქართულ თეატრში, ნიჰიერის მსახიობის ბ ნ ვ. ალექსი მე-

## ფელეტონი

### რა ბრალი ჰქონდა, რა დანაშაული?!..

(ეტიუდი)

I

ბინდმა ჰკრა და ცოტა ხანს უკან მოწმენდილ-მოკრიალებული ცის გუმბათი ვარსკვლავებით მოიჭედა. კიდევ წუთიც და გაღმა მხრიდგან ერთ-ერთ ფერდობზედ პირბადრმა მთვარემ გადმოჰყო თავი და თვისი ნაზი, მოალერსე, ოქროს ფერი სხივი მოჰფინა არე-მარეს. დაჰბერა გრილმა გამაცოცხლებელმა ნიავმა და მახლობელს ტყის ფოთლებს ნაზად შეეალერსა და შეატყუშიალა. არე-მარე რაღაც იდუმალმა სიჩუმემ დაიმონა-დაიმორჩილა, რომელსაც ქვევით გიჟმაჟ ლიახვის შხუილი თუ დაარღვევდა ხან-და ხან და ისევ მიყუჩდებოდა.

მაღლა, სულ მაღლა, მთის კალთაზედ შეფენილს სოფელს № ტკბილ ძილისთვის მიეცა თავი, რადგან დღიურის მუშაობით წელმოწყვეტილს, დამაშვრალს გლეხს ბუნებისათვის არ-და ეცალა.

სოფლის ბოლოში ამართულს უზარმაზარს ცაცხვის ფოთლებს გრილი ნიავი ნაზად, ალერსით შესთამაშებდა და ყოველს დაბერვაზედ რაღასაც ჩასჩურჩულებდა. ვინ იცის რის მომსწრე არ იყო ეს ცაცხვი, ასე ამაყად, ამპარტავნულად აღმართული ამ ველზედ!.. დაუნდობელს დროთა სვლას არც ეს ხე დაენდო სხვა ა-ვით და თვისი ულმობელი და შეუბრალებელი დალი დაესვა მისს გაჭაღარავებულს ქედზედაც!..

ის მაღლა, ცის კიდურიდგან მწარედ, დაფიქრებით დასცქეროდა ირგვლივ მიდამოს და ფოთოლთა იდუმალს შრიალს, ლიახვის დამაყრუებელს შხუილს უერთებოდა.

მხოლოდ ერთგან, სოფლის განაპირას, ძველს დროთა-სვლისაგან დალარულ, ხავს-მოკიდებულის ციხე-დარბაზის გვერდით მიდგმულის, ორსართულიან ქვითკირის სახლის ერთ-ერთ ფანჯრიდგან გამოჰბჟუტავდა მკრთალი შუქი.

ეს იყო სანდრო ბედისწერაძის კაბინეტი, რომელიც ამ დროს გადაწოლილიყო სამწერლო მაგიდის წინ სავარძელში და ტკბილს ოცნებას გატაცებით მისცემოდა.

იმას ეს არის ეხლა გაეთავებინა უმაღლესი სასწავლებელი და სიამოვნებით ოცნებებდა თავისს მომავალს ცხოვრებას, როდესაც ის სრულს თავისს ძალ-ღონეს სამშობლოს სამსახურს და მის წინ-სვლას მოანდომებდა. სანდროს ამ ფიქრის დროს სიამოვნების ღიმილმა გადაურბინა სახეზედ, უცებ გასწორდა წელში, წამოდგა ზეზე და, თითქოს სასუნთქავად ჰაერი დააკლდაო, მივიდა და ფანჯრის ორთავე ნახევარი გამოაღო.

ერთს წუთს გაჩერდა ფანჯარასთან და ხარბად ისუნთქავდა წმინდა მთის ჰაერს, მერე გამობრუნდა და თავისს სამწერლო მაგიდას მიუჯდა. მოაგონდა ტანჯვით სავსე წარსული და ამ ფიქრზედ სახე თითქოს მოეღუშა, წარმოუდგა თვალწინ თავისი ბავშვობა, როდესაც დედმამის ალერსისა და მზრუნველობას მოკლებულს, ემას სიტყვა „დედა" არაფერს წარმოუდგენდა, არას აგრძნობინებდა და ამ ფიქრზედ მწარე სევდით სავსე ღიმილმა გადაურბინა სახეზედ. ნაღვლიანად ჩაჰკიდა თავი. კარგად ახსოვდა ის მაღალის ტანის განიერ-მხარბეჭიანი, ლამაზის სახის უცნობი, რომელიც დრო გამოშვებით მოვიდოდა ხოლმე მის სანახავად და ყოველს მოსვლაზედ ათასგვარ ტკბილეულობას მოუტანდა. კარგად ახსოვდა ის დროც, როდესაც იმავ უცნობის წყალობით იგი სასწავლებელში სახელმწიფო ხარჯზედ მიიღეს. პატარაობიდგანვე სიყვარულს, ალერსს მოკლებული, ის არას დროს ამხანაგებთან კავშირს არ ეძებდა, რადგან მათგან ხშირად დაცინვისა და გაკილვის მეტი არა ესმოდა რა, და ისიც უნებურად გულ ჩახვეული განმარტოვებას ეძებდა და ამ დროს სიამოვნებით ეძლეოდა ტკბილს ოცნებას. მისი მახვილი გონება ადვილად ითვისებდა სწავლას და პატარა სანდროც ბეჯითად ეკიდებოდა სასწავლებელს. მისს ერთად-ერთ მეგობრებს წიგნები შეადგენდა და ყოველთვის, როდესაც გაკვეთილებს მორჩებოდა, გატაცებით კითხულობდა

ხნიშვილის საბენეფისოდ, დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენა იქნება გამართული. წარმოადგენენ დიუმა-მამის დრამას „ედმონდ კინს". მთავარ როლს თვით მობენეფისე შეასრულებს. ამ წარმოდგენაში, სხვათა შორის, მონაწილეობას მიიღებს ქუთაისის დასის არტისტი—ქალი ჩხეიძე.

*** ახალქალაქის მაზრის მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა ტფილისის უმთავრესი შემწე კომიტეტის 8 თებერვლისათვის დანიშნული კრება გადაიდო. კრება დანიშნულია ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლის სახლში 15 თებერვალს საღამოს 8 საათზედ.

*** ხვალ, 11 თებერვალს, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში მოხდება სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება, რომელზედაც განხილულ იქნება სხვა-და-სხვა მეაბრეშუმეთაგან აბრეშუმის თესლის ვაჭრობის შესახებ წარდგენილი მოხსენებანი. კრებას მოხსენდება აგრეთვე 8 თებერვალს საზოგადოების საბჭოს დადგენილება აბრეშუმის თესლის სავალდებულო შემოწმების შესახებ. ამ კრებაზედ საბჭომ, სხვა-და-სხვა მეაბრეშუმეთაგან წარმოდგენილ მასალის განხილვის შემდეგ, უარჰყო აბრეშუმის თესლის სავალდებულო შემოწმება.

*** როგორც გვატყობინებენ, სოხუმის ქართველობა თორმეტ თებერვლისათვის აპირობს ქართულის საღამოს გამართვას. აზრათ აქვთ გიორგი ერისთავის პიესა „გაყრა" წარმოადგინონ. ამავე საღამოს გადაიხდიან ქართულის თეატრის იუბილეს.

*** ტფილისის ქალაქის საბჭოს ზოგიერთი ხმოსნები სოფ. წილკანში იყვნენ ნატახტარის წყაროების დასათვალიერებლად. ამ დათვალიერების შედეგი თავისს დროზედ მოხსენდება ქალაქის საბჭოს.

*** ტფილისის სახაზინო პალატამ კავკასიის უმაღლესის მთავრობის განკარგულებით, 1900 წელს ამიერ კავკასიის სასტატისტიკო კომიტეტის შესანახად გუბერნიის საერობო გარდასახადიდგან გადაიდო 7,800 მან., ხოლო ტფილისის საგუბერნიო სასტატისტიკო კომიტეტისა—1800 მან. ამდენივეა გადადებული ქუთაისის გუბერნიისა და სხვა ამიერ კავკასიის გუბერნიების სასტატისტიკო კომიტეტთა შესანახად.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობაში ქალაქის ინჟინერ-ტეხნიკოსმა მუხარინსკიმ თხოვნა შეიტანა სამსახურიდგან განთავისუფლების შესახებ. როგორც ისმის, ამ თანამდებობაზედ კანდიდატად ასახელებენ ახალგაზდა ინჟინერ-ტეხნოლოგს გ. ქურდოვანიძეს.

*** ქალაქის ტეხნიკოსს ბ-ნ მუხარინსკის სხვა ელექტრო-ტეხნიკებთან ერთად შეუმუშავებია პროექტი ქალაქის ქუჩებისა და მოედნების ელექტრონით განათებისა. ეს პროექტი წარედგინება განსახილველად ხმოსანტეხნიკოსთა განსაკუთრებულ კომისიას. ესევე კომისია განიხილავს აგრეთვე იმ წინადადებასაც, რომელსაც ქალაქის გამგეობაში სხვა-და-სხვა პირებმა შეიტანეს ამ საქმის გამო.

*** დღეს, საღამოს 8 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის დარბაზში მოხდება გორის მაზრის თავად-აზნაურთა კრება.

*** 18 თებერვალს დანიშნულია საზოგადო კრება ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობისა, რომელმაც უნდა განიხილოს წესდების ახლად შეცვლილი ზოგიერთი მუხლები და აირჩიოს გამგეობის წევრნი.

*** პეტრეპავლეს საეკკლესიო სამრევლო სკოლის მზრუნველმა ბ-ნ მ. კ. ბელოზერსკიმ უმაღლესს სასულიერო მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ნება დაერთოს დააწესოს ტფილისის მართლმადიდებელ სამრევლო-საეკკლესიო სკოლების ულარიბეს მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოება. ამ ჟამად ტფილისში თითქმის 30 სამრევლო სკოლაა, სადაც მოსწავლეთა უმრავლესი ნაწილი ღარიბეს მცხოვრებთა შვილები არიან, რომელთა ქონებითი დახმარება ვინ იცის რა კეთილსა და დიდს მომავალს არ განუმზადებს უიმისოდ ყოველმხრივ დაბეჩავებულს ბავშვებს. ამიტომ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ეს ამბავი და ვუსურვოთ, რომ კეთილად დაგვირგვინებულიყოს ბ ნ მ. კ. ბელოზერსკის სასარგებლო განზრახვა.

*** ქიზიყი. აქეთ მცენარის ადრე გამოსატყუებელი სამაცდურო თბილი ამინდებია: ჯეჯილი მწვანედ ბიბინებს. სულადის მაზანდამ ცოტა დაიწია. ღვინო ისევ წყლის ფასად იყიდება. ხორცი ერთი ორად დაძვირდა. სამიკიტნოები სოკოს სისწრაფით მრავლდებიან. ზოგიერთგან სკოლებს დაკეტვას უპირებენ: უხეირო მასწავლებლები გვყავანო.

*** სოფ. არდონი, (კავკავის მაზრა). პირველს თებერვალს გააცილეს დარკოხის რკინის გზის სადგურამდე არდონის სასულიერო სამისიონერო სემინარიის უწინდელი რექტორი მამა არხიმანდრიტი ანდრონიკე როგორც სემინარიის მოსწავლეებმა, ისე ახალმა რექტორმა არხიმანდრიტმა მამა დიმიტრიმ.

*** ზარისოსები. ამ ზამთარში ერთობ გაძვირდა აქეთკენ საკლავი საქონელი. წინა წლებში თუ ცხვარი სამ მანეთად იყიდებოდა, ეხლა ექვს-შვიდ მანეთად ჰფასობს; აგრეთვე მ ხვილფეხი საქონელიც.

*** დუშეთი. აქაურ ბლაღოჩინმღვდელს მეტრეველს და რამდენიმე ყმაწვილ კაცს აზრად აქვთ დააარსონ აქ მოსამსახურეთა მფარველი საზოგადოება.

*** პოლიციის მე 5 ნაწილის ბოქაულმა თხოვნა შეიტანა ქალაქის გამგეობაში იმის შესახებ, რომ ყველა სახლის პატრონებს თავისის ხარჯით დაევალოთ სახლებზედ პატარა ფიცრების გაკვრა პატრონის სახელისა, გვარისა და სახლის №-ის ზედ წარწერით.

*** ამიერ-კასპიის ოლქის უფროსის კანცელარია იწვევს მსურველ მიწისმზომელთ ოლქში სამსახურისათვის. მსურველთ უნდა გაუგზავნონ საჭირო საბუთის ქაღალდები ამიერ-კასპიის უფროსის კანცელარიას ასხაბადში.

*** რედაქციამ მიიღო აკაკის ამ წლის „კრებულის" პირველი ნომერი. შინაარსი ამ ნომრისა: პირველი განყოფილება. 1, ჩემი აღსარება, აკაკისა; 2, ქუთათური საახალწლო, დოსითეოსისა; 3, ქებათა ქება, (ლექსი); 4, ნათელა, (ძველებური ამბავი) აკაკისა; 5, ქართველთ წარმართობის ღმერთთა ბინათ სადგურნი, ზ. ჭ.—სა; 6, ჭაბუა ორბელიანს, (ლექსი) ბესიკისა; 7, ლექსი (გაგონილი სპირიდონ ხმალაძისაგან და ჩაწერილი გ. კ—შვილისაგან); 8, წიგნი, მიწერილი სვიმონ წერეთლისაგან სასუფეს შვილისა ძმისადმი ტრაპიზონიდან; 9, ქართველთ ხელოსნები და ხელოსნობა საქართველოში, ზ. ჭ.—სა; 10, ახალციხე, გინმე მესხისა; 11, არხეოლოგიური ფურცლები, გინმე მესხისა. მეორე განყოფილება: 1, ხალხური ლექსები, შეკრებილი სოსიკო მერკვილაძის-მიერ; 2, ანდაზები, (მისივე); 3, გამოცანები, (მისივე); 4, ფშაური სიმღერები, შეკრებილი გრ. აფშინაშვილისაგან; 5, განცხადებანი.

*** კავკავი. ამ ზამთარში საშინელი სიძვირე ჩამოვარდა კავკავში. ასი კვერცხი სამ მანეთად იყიდება; ქათამი—ათ შაურიდგან—სამ აბაზამდე, ინდოური და ბატი მანეთ-ნახევრიდგან—ორ მანეთამდე, ცხვრის და ღორის ხორცი გირვანქა 10—11 კაპ., ძროხის ხორცი 8—10 კაპ., საქონი შეშა 27—28 მან. ასეთ სიძვირეს აქ არავინ მოსწრებია. ურემი თივა 4—5 მან. ჰფასობს.

---

**შეცდომის გასწორება.** „ივერიის" მე-21 ნომერში, წერილში „თაფლი, მისი ზედ-მოქმედება ადამიანის სხეულზე და მისი მომზადება" შეცდომით დაბეჭდილია: (Новь Мозайка 1899 წ.), უნდა იყოს: (Новь Мозайка 1896 წ.)

---

## ზ. ფალიაშვილის კონცერტის შესახებ

შაბათს, ამ თვის 12, ტფილისის სობრანიის (კლუბის) დარბაზში დანიშნულია კონცერტი ზაქარია ფალიაშვილისა, რომელიც უკანასკნელ ხანს საქველმოქმედო კონცერტებში მონაწილეობას იღებდა თავისის ხოროთი. ეს ყმაწვილი კაცი ამ ახლო ხანს ოქაურ სამუსიკო სასწავლებელში კურსს ასრულებს და უმაღლესის სწავლის მისაღებად მიდის კონსერვატორიაში. ტფილისის ქართველს საზოგადოებას რამდენჯერმე შემთხვევა ჰქონდა დამტკბარიყო მისი ხოროს ქართულის სახალხო სიმღერებით და იმედია, შაბათს დაესწრება კვლავ მოისმინოს ქართული ჰანგები იტალიურ და რუსულ სიმღერებთან. მეტი არ იქნება მოვიხსენოთ, რომ ეს ყმაწვილი კაცი დიდი ხანია სიყმაწვილითვე მუსიკის სწავლას მისდევს. სიყმაწვილითვე, როგორც კათოლიკე სარწმუნოებისა, ის შერჩეული იყო ეკლესიაში ორღანის დაკვრას, გალობასა და ხორის შედგენას. უკანასკნელ სამ-ოთხს წელიწადს ეკლესიის ორგანისტობასთან იგი სამუსიკო სასწავლებელში სწავლობდა, სადაც ახლა ამთავრებს სწავლას. ამასთან შეადგინა მგალობელთა მწყობრი ხორო, რომელიც მშვენიერად, ხელოვნურად მღერის ქართულ სახალხო მოტივებს. ჩვენს საზოგადოებას დღევანდლამდე ასე მწყობრად მომღერალი ქართული სიმღერა არ გაუგონია, რაიცა უნდა ავხსნათ იმით, რომ ხოროს ხელმძღვანელი მუსიკის მცოდნე უნდა ყოფილიყოს. სახალხო მოტივები მას უკეთესად აქვს ნოტებზე შეწყობილი, ვიდრე სხვებს. მართლადაც მუსიკის სკოლის გამოუვლელი, ბეჯითის სწავლის უქონელი ქართველი, რაც უნდა სურვილი ჰქონდეს, ვერ მოახერხებს ხელმძღვანელობას, ნოტების წერას, რაც უნდა ნიჭი ჰქონდეს. უსწავლელი მუსიკის თეორიისა შორს ვერ წავა.

ოცი წელიწადი მეტია ქართველ საზოგადოებაში სურვილი დაიბადა ქართულ გალობის და სიმღერების, ქართული მოტივების ცოდნისა, წერისა, შეკრებისა. მცირე ნაბიჯია ის ნაბიჯი, რომ აქა-იქ თითო-ოროლა ჯგუფი იკრიბება, ზოგი საყდარში ჰგალობს, ზოგი საერო მოტივებს, ჰბეჭდავენ კიდეც ნოტებს; ესეც, მართალია, ცოტა წინ წაწევაა საქმისა, მაგრამ მოთავეებს აკლიათ კარგი საფუძვლიანი სამუსიკო აღზრდა და ცოდნა, ევროპიული ცოდნა, რომლის შემწეობით შეიძლება მკვიდრი ნიადაგი მოუპოვონ ხალხის მუსიკას და გალობას. ამ მხრით, როგორც გვესმის მუსიკის მცოდნეთაგან, ფალიაშვილს ემჩნევა საიმედო შრომის მოყვარეობა, ნიჭი და მომეტებული მიხვედრა საეროვნო მოტივებისა. საზოგადოება, როგორც ქართველი, ისე სხვა ტომისა ყოველთვის კმაყოფილი დარჩენილა ფალიაშვილის ხოროს გალობით და, იმედია, ამ ბეჯით მოსწავლე კაცს თანაგრძნობას არ მოაკლებს, რომ გზაზედ დამდგარს ღონისძიება მისცეს უმაღლესი სამუსიკო სწავლა შეიძინოს და ამ სწავლის და შრომის შეწეობით გამოადგეს ჩვენს საეროვნო საქმეს.

---

## წერილი აფხაზეთიდგან

ზოგი ჭირი მარგებელიაო, რომ იტყვიან, სწორედ ეს გამართლდა გუდაუთის ნაწილის მცხოვრებლებზედ: როგორც მკითხველს მოეხსენება, ავაზაკობას და ძარცვა-გლეჯას სოხუმის ოლქში ყველაზე უფრო გუდაუთის ნაწილში ჰქონდა ბინა. ეხლა-კი იმის წყალობით, რომ შარშან წინ უცნობ ავაზაკისაგან მძიმედ დაიჭრა ნაწილის

---

წიგნებს.

თავისს სიპატარავეში არა ჰგავდა სხვა ბავშვებს. ჯერ მაშინ ბევრი რამ ისეთი ესმოდა და ჰგრძნობდა, რაც მისს ტოლ ბავშვებისთვის სრულიად გაუგებარი და მიუწდომელი იყო. შემდეგ, როცა უფრო მოიზარდა, თუ ხან და ხან გაერეოდა ტოლ-ამხანაგებში, თავისს თავს ვეღარ სცნობდა. იცინოდა, მღეროდა, მაგრამ ღმერთო ჩემო, რა ნაღველ-გარეული იყო ეს სიცილი, ეს სიმღერა. იშვიათად ახსოვს თავის თავი მხიარულად. იქიდგანვე აკვირდებოდა ის თავის გარშემო ცხოვრებას, ბევრი რამ გაუგებარი ხვდებოდა წინ... მაგრამ ამაზედ კრინტიც ვერავისთან ვერ დაეძრა, ან კი ვისთვის უნდა გაეზიარებინა თავისი ტანჯვა-წამება, მიუხვდებოდნენ კი ამ სულის მდგომარეობას?!. ყოველიეე მოძრაობა, რომელიც სხვისთვის შეუმჩნეველი იყო და გაუგებარი, მისს მგრძნობიარე გულში აუტანელს ტკივილებს აღძრავდა ხოლმე და თავსა და ბედს აწყევლინებდა.

გავიდა ხანი. სანდრომ გაათავა საშუალო სასწავლებელი და მოიწადინა საზღვარ-გარეთ წასვლა სწავლის დასამთავრებლად. ამ ჟამად მისი მფარველი უცნობი გარდაცვლილიყო და სიკვდილის წინა ჟამს მთელი თავისი საცხოვრებელი მისთვის დაეტოვებინა. სანდრომ სურვილი აისრულა კიდეც. მოემზადა, შეაგროვა საჭირო ფული და გაემგზავრა საფრანგეთში. იქ მან დაჰყო ხუთს წელიწადს, რომლის განმავლობაში დროს დღე-და-ღამ თავაუღებელ მუშაობაში ატარებდა. ყოველთვის, როცა კი მოუნდომებია დროს გატარება, დასვენება, წარმოუდგებოდა თვალწინ თავისი ტანჯული სამშობლო, რომელსაც შვილა, დახმარება ეჭირვებოდა და ისიც, როგორც ერთგული შვილი, გაორკეცებულის ხალისითა და ოცნებობით განაგრძობდა სწავლას.

— გამხნევდი, სანდრო, ცოტა კიდევ... ეტყოდა ხოლმე თავისს თავს და მედგრად მიიწევდა წინ.

გავიდა ხუთი წელიწადი, ხუთი წელიწადი შრომისა და ოფლის ღვრის და სანდრო გამარჯვებული დაბრუნდა სამშობლოში.

სულ ერთი თვეც არ იქნებოდა ჯერ, რაც ის სოფელში ჩამოსულიყო დასასვენებლად, რომ მერე გაორკეცებულის ძალით შესჭიდებოდა ცხოვრებას.

მას, ჯერ კიდევ ცხოვრებაში გამოუცდელს, არ ესმოდა სიტყვა „გაუტანლობა", „ღალატი". სრულის ნდობითა და პატიოსანის აზრებით გამსჭვალულს მცნებად დაესახა „ძმობა ერთობა" და „სიყვარული" და იმედიც ჰქონდა ბრძოლის ველიდგან ამ დროშით ხელში გამარჯვებული გამოსულიყო. ყოველს მისს მიმოხვრას, ყოველს მისს სიტყვა-აზრს რაღაც თავისებური ბეჭედი ედვა.

სიამოვნებით გაიზმორა ტანში და დაფიქრებულს სახეზედ რაღაცა იდუმალმა ღიმილმა გადურბინა. სწორედ ამ დროს გაღებულ ფანჯრიდგან მოისმა ბუს უსიამოვნო, თვალბედითი ძახილი და ოცნებაში წასული სანდრო სწრაფად გამოერკვა და უსიამოვნო ჟრუანტელმა დაურბინა ტანში. წამოდგა ზეზედ, გულის ცემით ფანჯარაზედ გადაეყუდა და გაუნძრევლად იქვე გაშეშდა. კაშკაშს მთვარეს კარგა ადგილი მოეარა ცაზედ და თვისს მოალერსე სხივს უხვად აფრქვევდა ცვეს დედამიწაზედ. ტყე მიყუჩებულიყო. იშვიათად თუ დაჰბერდა ნიავი და ნაზად ჩურჩულით გაირბენდა ფოთლებში. ძირს ვაკეზედ გველივით მიიკლაკნებოდა ლიახვი და მთვარის შუქზედ ოქროს ფრად ელვარებდა.

ამ თვალწარმტაც სურათით მოხიბლულ-მოჯადოებული სანდრო იდგა გაუნძრევლად და აღტაცებით სტკბებოდა მის სიმშვენიერით. გრძნობათა ღელვას იქამდის დაემორჩილებინა ის, რომ ფიქრიც კი ეძნელებოდა.

კარგა ხანს დარჩა ამ მდგომარეობაში და ბოლოს, როდესაც ძლივს გამოერკვა, წამოუდგა თვალწინ ამ მშვენიერ ბუნებასთან თვისი სამშობლო და ამ ფიქრზედ მწარედ, ჩაფიქრებით წაიღუღუნა:

„მამულო საყვარელო,
შენ როს-ღა აყვავდები?!..."

ა. წინამძღვარიშვილი

(დასასრული იქმნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფროსი ბ-ნი ჩიქოვანი, სასტიკმა ღონისძიებამ ქურდობა-ავაზაკობის სახსენებელიც თითქმის სულ მოსპო ამ მხარეში. სამწუხაროდ ისევე არ ითქმის აჭუას (კოდორის ნაწილი) და სამურზაყანოს შესახებ. იმ დროს, როცა გუდაუთის ნაწილის მცხოვრებნი უშიშრად ჰკიდებენ ხელს თავიანთ შინაურს საქმეებს, სამურზაყანოელნი და აჭუელნი ქურდობასა და ავაზაკობასთან უნაყოფო ბრძოლაში ჰკარგავენ დროს. მართალია, აქ ძალიან მისუსტებული იყო ქურდობა, ვიდრე სამურზაყანოში უფროსად იყო ბ-ნი ლისოვსკი, რომელმაც თავისი ნაყოფიერი მოქმედებით დაამტკიცა, რომ ადვილად შეიძლება ავაზაკების ხელიდგან ხალხის ხსნა, მაგრამ ბ-ნი ლისოვსკი უმაღლეს თანამდებობაზედ იქმნა გადაყვანილი და ქურდ-ბაცაცებსაც აღდგომა გაუთენდათ. ქურდების საგმირო საქმეების ჩამოთვლით არ შევაწუხებ მკითხველს. მხოლოდ დავასახელებ ერთს სოფელს—აძვიბჟას: ამ სოფელში სამის უკანასკნელ თვის განმავლობაში დაიკარგა 30-ზედ მეტი სული საქონელი. აი კიდევ ერთი მაგალითიც: ამას წინად დაბა ოჩემჩირეში სასამართლოს წინ დღისით მოიპარეს მღვდლის დ. მარღანიას ცხენი. დაბაში თუ ამისთანა საქმეები ხდება, მიყრუებულ სოფლებში რა უნდა იყოს, ადვილად გამოსაცნობია.

მას შემდეგ, რაც სიმინდის ფასი დაეცა, დიდს გასაჭირში ჩავარდა ჩვენი გლეხი, რადგან მისი ერთად-ერთი სახსარი ცხოვრებისა სიმინდი იყო. თუმცა ჩვენი მხარე უხვად არის დაჯილდოვებული ბუნებისაგან, მაგრამ ჩვენის უვიცობის წყალობით იმისს სიმდიდრეს ვერა ვხმარობთ. შესანიშნავი ნოყიერება მიწისა, თბილი და ნოტიო ჰავა ხელს უწყობს ყოველგვარ მცენარესა, გარნა ჩვენის უცოდინარობის წყალობით სიმინდის კულტურას არ გავცილებივართ. მართალია, აქ ამ 15—20 წლის წინად ზევან ადგილას და მთის კალთებზედ მშვენიერი ადგილობრივი ღვინო მოდიოდა და კარგს შემოსავალსაც აძლევდა მისს მოჭირნახულეს, მაგრამ ეს უშრომელი წყარო შემოსავლისა ვაზის ჭირმა მოგვისპო. ერთს დროს აგრეთვე აქაურს მკვიდრს დიდს სამსახურს უწევდა ნიგოზიც, მაგრამ ზოგიერთების წყალობით თითქმის ყველა სავარგისი კაკლის ხეები დასჭრეს და უცხო ქვეყნელთ თითქმის მუქთად ჩაუგდეს ხელთ.

გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო, ტყუილად არ არის ნათქვამი. გაჭირვებამ ჩვენც გვიჩვენა გასაქცევი გზა: როგორც მკითხველს ეცოდინება, აქ თითოეულს საზოგადოებას თავისი საზოგადო ტყე აქვს. ზოგიერთს სოფლებს-კი მართლა საუცხოვო ტყე ჰქონდა; მაგრამ როცა გაჭირვება დაადგათ, მიჰყვეს ამ ძვირფასს საუნჯეს ხელი და თითქმის სანახევროდ გაჰკაფეს. შორს არ არის ის დრო, რაც შეშის ყიდვაც-კი დაგვჭირდება.

საკვირველია, რომ ბჟოლის (თუთის) სამშობლოში ხალხი აბრეშუმის კეთებას არ მისდევდეს. აქაურმა მცხოვრებმა დღესაც არ იცის, თუ ბჟოლის ფოთოლი კაცს რამეში გამოადგება. მხოლოდ შარშან აქა-იქ აბრეშუმს მიჰყვეს ხელი და კარგი მოსავალიც ჰქონდათ. სამწუხაროდ, ეს მათი ნაშრომ-ნამაგარი მუქთად ჩაუვარდათ ხელში უცხო-ქვეყნელებს. იმედია, ამ საქმეში დიდსა და თვალსაჩინო შემწეობას მისცემს ხალხს სოფელ დრანდის მეაბრეშუმეთა ნორჩი ამხანაგობა—„აბრეშუმი“, რომელსაც ვურჩევთ ეხლავე შეუდგეს სადის თესლის შეძენასა და ხალხში დარიგებას. ამხანაგობამ შარშანაც შესამჩნევად ასწია დრანდის ახლომახლო სოფლებში აბრეშუმის ფასი.

რაც შეეხება თამბაქოს, მეურნეობის ამ დარგმა ჯერ ვერ მოიკიდა ფეხი აქ, თუმცა ყველაფერი ხელს უწყობს მას. ჯერ-ჯერობით თამბაქოს მიჰყვეს ხელი სოფ. აძვიბჟასა და აჭარაში თავად შერვაშიძეების მამულში სომხებმა და ბერძნებმა, მაგრამ ამათგან აფხაზებმა და მეგრელებმა ჯერ ვერ შეისწავლეს თამბაქოს მოყვანა. ამ დალოცვილს მხარეში ვითომ ვის რად უნდა, რომ რამე გასასყიდი ჰქონდეს: უგზოობისა გამო თავისს სახლიდგან ბაზარში გატანა არ შეუძლიან. აქაური გზები ჯოჯოხეთს წარმოადგენს, უფრო-კი ზამთრობით. ნეტა თუ ოდესმე ვინმე მიაქცევს ყურადღებას აქ გზებს?

როგორცა სჩანს, ოჩამჩირელთა ოცნებას ფრთა ეკვეცება: ჩვენი დაბა ოცნებობდა ხელი გაეთბო სოფელ ტყვარჩელის მდიდარ ქვა-ნახშირის მადნებითა, მაგრამ თურმე ამაოდ. აქ დანამდვილებით ამბობენ, რომ, თუ ტყვარჩელში საქმე გაიჩაღა, ქვა-ნახშირს გაიტანენ აფხაზეთიდგან ქალაქ სოხუმით, რისთვისაც ჰფიქრობენ სოხუმში რკინის გზით შეუერთონ ტყვარჩელს, ოჩამჩირე-კი განზედ რჩება.

მა ვორექ

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**დ. ზესტაფონი.** ამ დღეებში აქაურ ორ-კლასიან სასწავლებლის ზედამხედველს ოფიციალურად შეკითხა ბ-ნი სახალხო სკოლების ინსპექტორი: რას ჰფიქრობენ ზესტაფონელები სასწავლებლის ზრდა-წარმატების შესახებ, ჰსურთ სასწავლებელთან მიწის ყიდვა, თუ რა აზრის ადგანან? ალბად, ბ-ნს ინსპექტორს მოსწყინდა ამდენი ლოდინი, აგერ ორ-სამჯერ ყრილობაც იყო ამ საქმის შესახებ, მაგრამ ვერც „ჰო“ და ვერც „არა“ ვერ გამოითქვა. ზოგიერთებმა, მართალია, სურვილიც განაცხადეს და ხელიც მოაწერეს, გაიღონ მიწა, მაგრამ განაჩენს კანონიერი საფუძველი ვერ დაუდო, რადგანაც ერთი რომ, ხელ მოწერილთა რიცხვი ძლიერ ცოტა აღმოჩნდა და, მეორე, ზესტაფონი არც სოფლის საზოგადოებაა და არც ქალაქი, და განაჩენის შედგენაც შეუძლებელი შეიქმნა. სხვა თუ არა, მაზრის უფროსი ასე ხსნის ამ გარემოებას. ისიც სათქმელია, რომ აქ ჯერ არ დასრულებული „ბაზრობის“ გამო გამოწვეული დას-დასობა და სახელდობრ, ამ საქმეშიაც ვეღარ შეერთდნენ აქაურები. კრებაზედ ბევრი ამბობდა: „თუ სკოლა ისევ ორ-კლასიანი დარჩება, არ გვინდა მიწის მომატება და თუ კურსიც მოემატება, მაშინ ხარჯსაც გავიღებთო“. ეს სიტყვები თუ ტყუილი არ არის, კარგი დაგემართოთ, კარგი იქნება, მაგრამ... როდის, სად, რა გზით და რა მხრით უნდა დავიწყოთ საქმე, ამისი მთქმელი არავინაა სჩანს. ასეთს საქმეში სხვისის ხელის შეცქერა არ გვარგია: საზოგადოებამ თვითონ უნდა გამოიღოს თავი და სთხოვოს მთავრობას, თორემ, როგორც სჩანს, ჩვენს საქმეს სხვები არას დაგვეძებენ. პატივცემული თავადი მიხეილ ზურაბის ძე აბაშიძე დიდს სამსახურს გაუწევს მშობლიურს მაზრას, თუ ამ საქმეს უყურადღებოდ არ დასტოვებს. ძნელი მოსაგვარებელი არა არის. ჩვენ წინადაც ვწერდით, რომ საჭიროა მოხელე წოდებამ გაიღოს ერთ დროებით ორ-ორი მანეთი (არა უმეტესი 2 მანეთისა), გლეხობამ თითო მანეთი და შესაძლოა ხიზნებულის მიწის ყიდვა და სახლის აშენება, თუნდა საქალაქო ექვს-კლასიან სასწავლებლისთვის. ამას გარდა ზესტაფონი და ახლო-მახლო საზოგადოებანი დაიკისრებენ სულ მცირედს წლიურ გადასახადს; ან შეიძლება წლიური გადასახადი ფული პირველ შეწირულ თანხის ნამატებითაც შედგენილ იქმნას და მაშინ ხომ უფრო მკვიდრ საფუძველზედ იქნება საქმე დამყარებული. რა საკვირველია, ამ შეკითხვის პასუხი საჩუქრო ვერ იქნება, რადგანაც ჯერ იოტის ოდენა საქმე არ გაკეთებულა და თუ, მართლა, ყველას თუ არა, ზესტაფონელთა უმეტესობას მაინც ნამდვილად ჰსურს სასწავლებლის აშენება, ამ საქმის მომხრეებს ერთად-ერთი გზა დაგვრჩენია: პირდაპირ ნოტარიუსის მიერ შემოწმებულის ხელ წერილით უნდა შევეკრათ ერთმანერთს, რომ მზად ვართ მომავალ სასწავლებელს ამდენი და ამდენი შემწეობა აღმოვუჩინოთ, და ამ პირობის პირი თხოვნასთან ერთად წარვუდგინოთ ჯერ-ჯერგანს მთავრობას, რადგანაც ადმინისტრაციას ამისთვის ვეღარ მოუცდია, როგორც თვით ისინი ამბობენ.

ვ. სეფისპირელი

## უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** ინგლისის სამხედრო მინისტრმა ანგარიში წარუდგინა პარლამენტს, თუ რამდენი ხარჯი იქნება საჭირო სამხრეთ აფრიკაში ომის გასაგრძელებლად და რამდენი ფული მარტის გასვლამდე. მინისტრის ანგარიშით, 120,000 მხედარის საჭირო და 13 მილიონი გირვანქა სტერლინგი. ეს ფული ასეა განაწილებული: ჯარების გადაყვანა, განახლება და ცხენები 5 მილიონი გირ. სტერ., სურსათი 75 მილიონი ფრანკი, ჯამაგირები ჯარის-კაცთა 60 მილიონი, შეიარაღება და ტანსაცმელი 15 მილიონი, დეპეშები და ტელეგრაფის მოხელეთა გამრჯელობა 250,000 ფრანკი, სამკურნალო ხარჯი 1.750,000 ფრანკი, მილიციონერთა ჯამაგირი 6.250,000 ფრ., იომენრების ჯამაგირი 125,000 ფრ., ვოლონტიორების ჯამაგირი 375,000 ფრ., ინჟინრების ჯამაგირი და მათთვის ხელსაწყო 3.750,000 ფრ., ტანისსაცმელი 12 მილიონი ფრანკი.

— ფელდმარშალს რობერტსს შემდეგი წერილი გაუგზავნია პრეზიდენტებს—კრიუგერსა და შტეინისათვის: „5 თებერვალს ჩემ მიერ გამოგზავნილ დეპეშის შესაფერად, პატივი მაქვს თქვენი ყურადღება მივაპყრა ბურებისაგან ნატალში ფერმების უაზროდ დაქცევისა და განადგურებისადმი. ბურებმა არა მარტო დაანგრიეს მეფერმების საქონელი და საცხოვრებელი უსასყიდლოდ, არამედ სრულიად დააქციეს მათი სახლებიც-კი. მე შემიძლიან მოგითითოთ, მაგალითად, კუდის ფერმაზე, სპრინ-ფილდის მახლობლად, რათა დაგიმტკიცოთ, რომ ინგლისის ჯარი სულ სხვაფრივ იქცევა. მე მატყობინებენ, რომ ინგლისის ჯარის-კაცნი ერთხელაც არ შესულან ინგლისის ჯარის ბანაკის მახლობლად მდებარე ფერმებში და მათი პატრონები არაფრით არ შეუვიწროებიათო. არავინ არ მიჰკარებია არც მათ სახლებს და არც მათ ბაღებსო“.

რობერტსი ასე აცხადებს, მაგრამ ზოგიერთი გაზეთები, ინგლისურიც-კი, სულ სხვას ამბობენ. მაგალითად, „Daily Telegraph“-ის კორესპონდენტი იუწყება მოდერ რივერიდგან, რომ ინგლისელებმა ააფეთქეს ერთი ფერმა იმისათვის, რომ ეჭვი აიღეს, იქ ბურები იკრიბებიანო. კორესპონდენტი თან დასძენს კიდევ, რომ ამ ექსპედიციაში მეც მივიღე მონაწილეობაო. ამას გარდა ერთს სურათებიან ჟურნალში დახატულია ცეცხლ მოკიდებული სახლი, რომელიც ორანჟელ ბურების უფროსს—დიუბეს ეკუთვნოდა, და რომლისათვისაც ცეცხლი მოეკიდებინათ გენერალ ბაბინგტონის ჯარის კაცთ.

## დამაკვირდი

ზოგიერთთათვის ღმერთს არ მიუცია ნიჭი გამგებლობისა, ხოლო თუ ეს უფლება ადამიანისაგან აქვს ნაბოძები, ღმერთო მაშორე მისი ქვეშევრდომობა!..

ს. ყ—ნი

* * *

მხიარულად დგება და მხიარულად წვება მხოლოდ ის, ვინცა დარწმუნებულია, რომ მისი დღიური შრომა შეერგო მისთა მეუვისთა.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

როგორც ადგილობრივი გაზეთები გადმოგვცემენ, ვარშავაში ამ ჟამად ბევრს ლაპარაკობენ შემდეგ ამბის შესახებ. ახალგაზდა, ლამაზის ქალის ვინმე ზ. უვ—ს ცოლად შერთვა ორს კაცს უნდოდა. მოხუცს 65 წლის, მაგრამ მდიდარს კაცს და რკინის გზის ახალგაზდა მოსამსახურეს. დედაქალისა, ღარიბი ქვრივი, გულით იყო მოწადინებული თავისს ერთად ერთი ქალი მდიდარ მოხუცისთვის მიეთხოვებინა, მაგრამ თვით ქალი, როგორც ყოველთვის მოხდება ხოლმე, წინააღმდეგი იყო ამისა. ქალს ახალგაზდა კაცი უყვარდა და ქმრად მარტო ის უნდოდა. სამის კვირის წინად მოხუცმა ფორმალურად სთხოვა დედას ქალის ხელი, დედამ ქალის დაუკითხავად თანხმობა გამოუცხადა, მაგრამ როდესაც ქალმა ეს ამბავი გაიგო, წავიდა პირდაპირ მოხუცთან და უთხრა: „დედაჩემმა თანხმობა გამოგიცხადათ იმისა, რომ ცოლად გამოგყვეთ, მაგრამ მე არ შემიძლიან თქვენი და დედი ჩემის სურვილი აღვასრულო: მე სხვა მიყვარსო“. მოხუცმა, გაიგო რა ქალს ვინ უყვარდა, წავიდა იმასთან და დიდხანს ესაუბრა. რამდენისამე დღის შემდეგ დედამ მოხუცისაგან წერილი მიიღო, რომელშიაც სწერდა, გადავწყვიტე აღარ შევირთო ცოლად თქვენი ქალიო. ერთის კვირის შემდეგ ახალგაზდების ნიშნობა მოხდა. მოულოდნელად ნიშნობის საღამოს მოხუცი შევიდა სახლში, ყველას უსიამოვნობა დაეტყო, ბევრი ჰკიცხავდა კიდეც მოხუცს, რა მოარბევინებდა აქაო; მაგრამ თვით მოხუცი ძალიან კარგ გუნებაზედ იყო და მოსვლისთანავე ახალგაზდა დანიშნულების სადღეგრძელო დალია. ამასთან მოხუცმა ქალს ძვირფასი ბანბანიორკა გადასცა. ახალგაზდა ქალმა მადლობა გადაუხადა, მაგრამ ბანბანიორკას კი ყურადღება არ მიაქცია და სადღაც მიაგდო; მხოლოდ საღამოთი, როდესაც სტუმრები დაიშალნენ, გახსნეს ბანბანიორკა და შიგ 10,000 მანეთი კი ჰპოვეს.

* * *

ამას წინად ლონდონში მისულა ერთი ლამაზი ახალგაზდა, 24 წლის ქალი, ვინმე ზალემა კერდი. ეს ქალი ევროპის ერთის ქალაქიდგან მეორეში გადადიოდა და ცირკებში ხალხს თავისს მიერ გაწვრთნილ გველებს აჩვენებდა, ლონდონში კერდი არც ერთ ცირკში არ მიუღიათ, ამიტომ უფულობის გამო სხვა და სხვა ოინბაზობა დაუწყვია და რამდენიმე კაცისთვის ფული დაუტყუვნია. ასევე მოქცეულა ბელგიაშიაც, სადაც ორი მდიდარი ოქრომჭედელი თითქმის გაუკოტრებია. ბელგიიდგან კერდი პარიჟში მისულა და ერთ ცირკში შესულა, 7 თებერვალს პირველად უნდა გამოსულიყო. მაგრამ სწორედ ამ დღეს კერდისთან პოლიციის კომისსარი შესულა პოლიციელებით და დაპატიმრების ბრძანება გარდაუცია. პასუხის ნაცვლად კერდის, რომელიც ამ დროს ლოგინში წოლილა, ოდნავ აუწევია საბანი და დაუსტვენია; მყისვე საბნის ქვეშიდგან ათამდე გველს თავები ამოუყვიათ და საძაგლად სისინი დაუწყვიათ. „ბ-ნო, კომისარო,—უთხრა თურმე კერდიმ,—თუ მოისურვებთ ჩემს წაყვანას, აი ამ გველებისაგან საზარელი სიკვდილი მოგელით. ეს გველები მარტო მე მცნობენ“. კამისარი და პოლიციელი პირველ ხანს შეშინებულან და უკანაც-კი დაწეულან, მაგრამ შემდეგ ყურადღება არ მიუქცევიათ მუქარისათვის და კერდი პოლიციაში წაუყვანიათ.

## გამოსადეგი ცნობა

—

საპილოს გაუვითლებული მჯალი ისევე თეთრს ფერს დაიჭერს, მხოლოდ წყალში უნდა დაასველოთ, შუშა დაახუროთ და მზეზედ დასდგათ იმ დრომდე, ვიდრე გაშრებოდეს.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 თებერვალი

**ჰელსინგფორსი.** დღეს გამოვიდა „ფინლიანდიის გაზეთის“ პირველი ნომერი ყოველ-კვირეულ დამატებისა ფინურს ენაზედ.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. განხილულ იქმნა დასამატ კრედიტის გადადების საქმე სამხედრო საჭიროებათათვის. ხანგრძლივ კამათის შემდეგ, რომელიც აღძრეს ირლანდიის ნაციონალისტებმა, 164 ხმის უმეტესობით 32 წინააღმდეგ შეწყნარებულ იქმნა აზრი მთავრობისა ჯარის იმდენად გაძლიერების შესახებ, რამდენადაც ეს მთავრობასა აქვს საჭიროდ დანახული. შემდეგ კვლავ კამათი გაიმართა, რომლის დროსაც ირლანდიის ნაციონალისტები წინააღმდეგობას აცხადებდნენ ომის წინააღმდეგ, და პალატამ 207 ხმის უმეტესობით 31 წინააღმდეგ შეიწყნარა 13,000,000 კრედიტის გადადება.

**პრეტორია.** „რეიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტი იუწყება კოლსბერგიდგან: „ხუთშაბათს, 3 თებერვალს, მე იმ ბურებთან ვიყავი, რომელნიც თავს დაესხნენ რენსბურგში რკინის გზის სადგურს. ბურებს უფროსობდა მელლერი, რომელიც სადგურთან მისვლისათანავე შეეხეჩა უილკშირის ორს რაზმს. ამ რაზმებმა უკან დაიწიეს მეზობლად მყოფ ქედიდგან. ბურებს მოემატა გენერალ შემანნის ჯარი; ესენი დაედევნენ უკან დაწეულს ორს რაზმს და დაატყვევეს ყველანი, სამის გარდა, რომელთაც გაქცევა მოასწრეს. მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი არ იციან, მაგრამ 200 კაცია ტყვედ დაჭერილი, რომელთა შორის 44 დაჭრილია. ბურებმა ყოველივე სა-

შუალება იხმარეს, რომ შეემსუბუქებინათ ტანჯვა დაჭრილთათვის: ზოგი ცხენებზედ შესვეს, ზოგნი რენსბურგში გადაიყვანეს საზნებით. ამასობაში რიტფონტენტთან მდგარმა ბრიტანიის მოწინავე ჯარმა სროლა აუტეხა ბურებს და იძულებულ ჰყო თავი დაენებებინათ დაჭრილებისათვის ნ მტრის მოგერებას შესდგომოდნენ. ერთმა ზარბაზანმა იძულებულ ჰყო ბურები მთებისაკენ დაეწიათ. ბურებთაგანი 2 მოკლულ იქმნა და 4 დაჭრილი. ამ ჟამად რიტფონტენთან მდებარე სიმაგრე ბურებს აქვთ დაჭერილი. როგორც ეტყობა, ინგლისელები თავისის ჯარის უმეტესს ნაწილს ნაუვპორტფორტში ჰგზავნიან, ხოლო რა განზრახვით, ეს ბურებმა არ იციან.

**ლონდონი.** „Standard“-ი ამბობს, რომ გუშინ საზოგადოებათა პალატაში დაჟინებული ხმა დადიოდა, ვითომ გენერალი ფრენჩი წამოეწია მტრის ჯარს და სდევნიდაო. ბურების ჯარი ბლუმფონტენთან სამოქმედო ასპარეზს განკერძოებულ არიან. „Standard“-ი იმ აზრისაა, რომ თუ ეს მართალია, სჩანს ბურების დასავლეთი ჯარი აღარ არსებობსო. „Daily News“-ი იუწყება ერთის მინისტრისაგან გაგონილს შემდეგს ამბავს: სამხედრო სამინისტროს ცნობა მოუვიდა, რომ კრონიეს ყოველ მხრიდგან მტერი შემორტყმიაო.

„Daily Chronicle“-ს აუწყებენ მოდერ-რივერიდგან 6 თებერვალს, რომ კოლსბერგთან მდგარი დელარეი სცდილობს შემწეობა აღმოუჩინოს კრონიეს და აფერხებს კრონიეს მდევნელთ მარჯვნივ მხარეს დაბანაკებულ ბრიტანიის ჯარითაო.

„Daily News“-ს აუწყებენ ჩიველეიდგან 7 თებერვალს, რომ აქამდე ბრიტანიის ჯარის ხელშია ტუგელის აქეთა ნაპირის, კოლენზოს მარჯვენით მდებარე გორაკები; მათვე დაიჭირეს კლანგვანე, რომელიც ბურებმა წარსულს ღამეს დასტოვეს. კლანგვანეს დაპყრობას დიდად შესანიშნავი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ეს გორა თავს დასცქერის ბურების ერთის გვერდის მტრის საგერს ჯარს.

**არუნდელი.** როგორცა სჩანს, არუნდელს ახლო-მახლო ბურები ცოტანი უნდა იყვნენ. შაბათს მიდამოების დაზვერვის დროს ექვსასი ბური ნახეს, მას შემდეგ კი აღარც ერთი აღარ უნახავთ. ალბად 1000 ანუ 2000 კოლსბერგთანვე სდგას, ხოლო 10,000 წავიდა იქიდგან, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს ინგლისის ჯარს, რომელიც დასავლეთიდგან თავს ესხმის ორანჟეს რესპუბლიკას. ინგლისის მზვერავნი დარაჯნი, რომელნიც განომერის სადგურიდგან მოდიოდნენ, გუშინ შეხვდნენ არუნდელის მზვერავ დარაჯებს და ამან დაარწმუნა, რომ განოვერსა და არუნდელს შუა ბურები არ იპოვებიანო.

**პეტერბურგი.** 7 თებერვალს ერმიტაჟის თეატრში გამართულ წარმოდგენას მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი დაესწრნენ.

**კონსტანტინეპოლი.** ხმელთა შუა ზღვის ესკადრის ახალი უფროსი ადმირალი ბირილიოვი მოვიდა აქ, რომელსაც სულთანი ინახულებს.

9 თებერვალი

**ლონდონი.** ბულლერი დღევანდელის რიცხვით იუწყება ბლაუსფერმიდგან, რომ გუშინ ჯარმა დაიჭირა კლანგვანეე გორა, რომელიც კოლენზოს დასცქერის ზედაო. მტერმა მთელი თავისი ჯარი ტუგელის ჩრდილოეთით გადაიყვანაო დღეს კოლენზო დაიპყრო გენერალმა გარტმა მცირე წინააღმდეგობის შემდეგ, რომელიც გაუწია ბურთა მოწინავე ჯარმა. ამ ჟამად ინგლისელებს უჭირავთ სამხრეთი ნაპირი ტუგელისა კოლენზოდგან დაწყებული იგლისნერტამდე. მტერი როგორცა სჩანს, უკან იწევს და ეტყობა კოლენზო-ლედი-სმიტის რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივ მყოფი სიმაგრეები უჭირავს მცირე მოწინავე ჯარი ტუგელს გადადის კოლენზოსთან. ბულლერი ამბობს, იმედია, რომ გუშინ და დღეს ინგლისელები მცირეოდენად არიან დაზარალებულნიო. როგორც ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, ბულლერის ჯარს 3 დგან 6 თებერვლამდე შემდეგი ზარალი მოსვლია: 1 აფიცერი მოკლულია და 6 დაჭრილი, მოკლულია 13 ჯარის-კაცი და 154 დაჭრილი. ვაალდრიფტთან 3 თებერვალს ინგლისელებისა მოუკლავთ 2 აფიცერი, 20 ჯარის-კაცი დაუჭრიათ და 6 ჯარის-კაცი კი დაკარგულა.

იმ წერილმა, რომელიც დედოფალს მიუწერია ლორდ უოლსლეისათვის, ნათქვამია, რომ ეხლა, როდესაც ჯარის ერთი ნაწილი სამხრეთ აფრიკაში იმყოფება, მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ქვეყნის საჭერად ჯეროვანი ღონის ძიებანი უნდა იქმნას ხმარებული. მე მაცნობეს, რომ შესაძლებელია საკმაო ჯარი იქმნას შედგენილი სამხრეთის გარეშე მყოფ აფიცერთა და ჯარის-კაცთაგან. მრწამს მათი ერთგულება სამშობლოს და ტახტის მიმართ და მოვიწვევ იმათ, ხურონ კიდევ ერთხელ მათ სამაგიეროდ, ვინც საახალშენო ჯარის გვერდით ასე სასიქადულოდ უწევს წინააღმდეგობას მტრის სამხრეთ-აფრიკის სამფლობელოზედ თავ-დასხმასაო.

**კროდოკი.** აქ ამბავი მოვიდა რიტის მდინარეზედ ეტლების დაჭერის შესახებ. ეტლები ფონთან იდგნენ, როდესაც 1,800 ბურმა შეუტია. ბურებს თან 4 ზარბაზანი ჰქონდათ. სროლამ მთელს დღეს გასტანა. 180 ეტლი სურსათით დაიჭირეს ბურებმა და ეტლების მიმდევართა ნახევარი გაჟლიტეს ან უცნობლად გარდაიკარგნენ.

**ლონდონი.** „Times“-ს ბულუვაიოდგან აუწყებენ 31 იანვარს, რომ ბრიტანიის ჯარის 200 კაცმა იერიში მიიტანეს დღეს ამ ქედზედ, რომელიც ბურებს უჭირავთ კროკოდილპულთან, მაგრამ ბურები ძლიერ გამაგრებულნი დახვდნენ, რის გამოც ინგლისელებმა უკან დაიწიეს. ამ ბრძოლაში ინგლისელებს მოუკლეს 2 აფიცერი, 19 ჯარის-კაცი დაუჭრეს და ერთი აფიცერი და 9 ჯარის-კაციც არსადა სჩანს.

„Times“-ის სამხედრო თანამშრომელი თავისს წერილში სწერს: „რადგან კრონიეს ძალა საკმაოდ შემცირებული უნდა იყოს შესაძლებლად უნდა მივიჩნიოთ, რომ მისის ჯარის უმთავრესი ნაწილი მტრის მიერ ალყა-შემორტყმულია და იძულებულ იქმნება იარაღი დაჰყაროს. აქედგან „ტიმეს“-ს ის დასკვნა გამოჰყავს, რომ ლოდინი აღარ შეიძლება და ჯარმა უნდა შეუტიოსო. ბრძოლის შუაგულს საქმეთა ვითარება უკეთ არისო.

**ლოძი.** ცეცხლი გაუჩნდა საფაბრიკო შენობას, რომელიც ოთხს ფაბრიკის პატრონსა აქვს იჯარით აღებული. ზარალი 30,000 მანეთამდე იქმნება. იზარალეს დამზღვეველ საზოგადოებათ „დუზა“-მ და „პეტერბურგისამ“.

**ვალპარაისო.** აქ დიდად აღელვა ხალხი იმ ამბავმა, რომ გამოაშკარავდა საიდუმლო ხელშეკრულება პერუსა, ბოლივიესა და არგენტინს შორის დადებულიო, და იმასთანავე არგენტინის შეიარაღებამ, რომელიც, აშკარაა, ჩილის წინააღმდეგ არის დაწყებული. წარსულს კვირას აქედგან ევროპაში წავიდა სამხედრო კომისია, რომელსაც ჰმეთაურობს ჩილის მთავარ-შტაბის უფროსი კერმერი. ამბობენ, რომ კომისიას შესამჩნევი სამხედრო მინდობილება აქვსო. ჩილის მთავარ შტაბი არდგენს სამხედრო ბეგრის გეგმას.

**კიმბერლეი.** კიმბერლეის მიდამოებში ბურები აღარ არიან; მათ განათავისუფლეს დრონფილდი, სალტპანი, შოლშნეკი და სპიტფონტენი. ინგლისელებს დარჩათ ერთი ზარბაზანი. დრონფილდთან მყოფი ბანაკიც, ბურების მიერ დატოვებული, ინგლისელებმა დაიჭირეს და მათვე დარჩათ რამდენიმე ჯოგი საქონელი.

**დუ-ბანი.** განაგრძობს და მარჯვნივ მოძრაობას ბულლერმა ყოველივე ღონისძიება იხმარა მარცხნივ მხარეს მდებარე სიმაგრეთაგან და ტუგელის სამხრეთით მტრის მოსაგერებლად.

**ლონდონი.** კიმბერლეის გასანთავისუფლებლად გაწეულს ბრძოლაში 2-დგან 4 თებერვლამდე მოუკლავთ ინგლისელთა 2 ოფიცერი და 6 დაუჭრიათ.

**ლონდონი.** რობერტსი იუწყება დეპეშით 7 თებერვალს პაარდებერგიდგან. რომელიც 30 მილის მანძილზედ იმყოფება იაკობსდალიდგან აღმოსავლეთით, რომ მეტუენი ჯარითა და თავდარიგ დაჭერილი რკინის გზით კიმბერლეიში მიდისო.

## წერილი რედაქციის მიმართ

წარსულის წლის „ივერიის“ მე-275 ნომერში უცნობი ავტორი სწერს, რომ ვითომ მე მონაწილეების დაუკითხავად ყვირილის სცენის მოწყობილება მეჩუქებინოს ყვირილისავე უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოსთვის. ეს მტკნარი სიცრუეა, რადგანაც ამის მგვასი არაფერი მომხდარა-რა. მართალია გარდავეცი თეატრის მოწყობილება, მაგრამ ყველა წევრებს შევეკითხე და ყველამ თანხმობა განაცხადა. ამის საბუთიცა მაქვს ხელში. ყოველ დროს მსურველს შეუძლიან ნახოს იგი.

ეს არ იკმარა უცნობმა ავტორმა და ერთი სხვა ცილიც დამწამა: ვითომ მე სამკითხველოდგან გამეგდოს ერთი ვინმე, ესეც სიცრუეა. ჩვენ არ გვახსოვს, სამკითხველოდგან გაგვეგდოს ვინმე, არც არავისთვის უწესო სიტყვა გვეკადრებია.

თუ ამისთანა უწესოება-რამ ჩავიდინე, უცნობმა ავტორმა, თუ გული საგულეს აქვს, დაასახელოს იმ კაცის ვინაობა, ვინც მე სამკითხველოდგან გამიძევებია და თანაც თავისი ვინაობა გვაცნობოს. რაც შეეხება იმას, ვითომ მე ყვირილის სამკითხველოს ვერ ვინახამდი, როგორც წესი და რიგი იყო, ამაზედ ლაპარაკი ზედ მეტად მიმაჩნია, რადგანაც ამას მომავალი გვაჩვენებს.

მიხეილ გაჩეჩილაძე

—

უღრმესს მადლობას ვუცხადებ ჟურნალ „კრებულის“ რედაქციას მთელის წარსულის წლის განმავლობაში ჟურნალ „კრებულის“ უსასყიდლოდ დათმობისათვის.

ასეთსავე მადლობას ვუძღვნით „კვალის“ რედაქციასაც.

სამეურნეო სასწავ. მოსწავლეების მაგიერ იონა ბელიაშვილი

—

უღრმესს მადლობას ვუცხადებთ იმათ, რომელთაც შემოსწირეს 8 მან. 35 კაპ. სახლ-კარ გადამწვარ გიორგი მახარობლიძის სასარგებლოდ.

სია შემომწირველთა: ი. ჩ. გოგოხიამ 1 მან., ვ. გ. გეთაშვილმა 50 კაპ., ს. ი. დოლიძემ, ა. ო. ნემსაძემ. მ. ზ. უშვერიძემ, ზ. კურხულმა, ა. ყანჩაველმა, ი. კუპეუაშვილმა, გ. ბაქრაძემ, დ. ბაქრაძემ, ი. კუნჭუხიძემ და ნ. ცკიპურაშვილმა თოთომ 50 კაპ., ი. მესხმა, 30 კაპ., ნ. გეგელაშვილმა 25 კაპ., მაგდან კანდელაკისამ 20 კ., ანიჩკა კანდელაკისამ 20 კაპ., პ. ლორთქიფანიძემ 20 კაპ., მერაბ წურწურიამ 20 კაპ., ლ. ნაცვალოვმა 15 კაპ., მ. მცხვეთაძემ 10 კაპ., ბაბაჯანოვმა 10 კაპ., პახადევმა 15 კაპ. ეს ფული მამა ილარიონ ქასრაძემ გარდასცა გიორგი მახარობლიძეს.

კ. ილ. ფრონისპირელი

### „ივერიის“ ფოსტა

**ნოხირელს.** არ დაიბეჭდება.

**სოფ. ალა—რი. პ. ლ—ძეს.** მკითხველთათვის საყურადღებო არ არის ეგ ამბავი.

**ს. ხ—დი. ვ. ბ—შვილს.** არ დაიბეჭდება.

**ქ. ს—ღი. ვინმე დამსწრეს.** ეგ ამბავი უკვე გვქონდა დაბეჭდილი.

**სიღნაღელს.** თქვენი „ჩემი ლოცვა“ არ დაიბეჭდება

**ლვინელაელს.** არ დაიბეჭდება.

**სოფ. ცა—ში. ო. უ—იას.** არ დაიბეჭდება.

**დამსწრე ნაესაკოველს.** არ დაიბეჭდება.

**ს. ბ—ციხე. ტ. ი—ს.** მაგის შესახებ შარშან გვქონდა წერილი დაბეჭდილი.

**ს. ც—ნისი. ვ. დ. ფ—შვილს.** არ დაიბეჭდება.

**კ. ზ—შვილს.** ეგ ლექსი თუშურიკი არა, თქვენი საკუთარი თხზულება უნდა იყოს.

**კ. ფრონისპირელს.** არ დაიბეჭდება.

**დაბა ყვირილელს..** მოეწყინა მკითხველებს თქვენის სამკითხველოს ამბების კითხვა. არ დაიბეჭდება.

**ს. ჭ—რა. ვ—ძეს.** არ დაიბეჭდება.

**ი. ო. ბ—შვილს** არ დაიბეჭდება.

**სოფ. ხ—ული. ს. კ—ძეს.** არ დაიბეჭდება.

**მკითხველთაგანს.** გაბრიელის სახელობაზედ დაარსებულ სამკითხველოს შესახებ რაღაც ჭორებს იწერებით და ვინაობას კი ჰფარავთ. უსახელო ავტორთა წერილებს არა ვბეჭდავთ.

**თ. პონიატოვსკის.** დაგეთმობათ იმ ფასად, როგორც თხოულობთ. თვეში თითო მანეთი შემოიტანეთ, ვიდრე სრულს გარდასახდელს ფულს შეასრულებდეთ.

# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 15 ამა თებერვალს, დილის 12 საათზედ, დანიშნულია საჯაროთ ვაჭრობა **ქალაქის საყასბოს გასაახლებელ-შესაკეთებლად** 3385 მან. ღირებულ სამუშევრის იჯარით გასაცემად. ვაჭრობის მსურველთ ყოველი ამ საქმის შესახები პირობები შეუძლიანთ განიხილონ ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმის გარდა.

(4—6.—1)

## ისყიდება შემთხვევით

**საწვრიმალო დუქანი** თავისი გამართულობით. მსურველს შეუძლიან მოლაპარაკება თვით დუქნის პატრონთან. ალექსანდროვის ქუჩა, № 30. აქვე ისყიდება 2 განიერი „სტოიკა“ 8 უჯრით, რომელიც გამოდგება „რესტორანებში“ სახმარებლადაც.

(2—38—1)




(50—267—6)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 9 თებერვალს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით მოხდება

## საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაცემული იქმნება არხის გაყვანა (უსუფთაობისათვის) საშუალო ბულვარის ქუჩიდგან დრონიშევის სახლამდე ანდრეევის ქუჩაზედ. სიგრძე მილისა 32 საჟ. ღირება 760 მანეთი.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში გასინჯონ ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა დილის 9-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (3.—6.—3)

# იმლევა იჯარით

## სალხინო სასეირნო ბაღი

ახალ წყლის-პირის ქუჩის და ვეჯცელის ქუჩის კუთხეში, ტფილისის კრუჟოკის საზაფხულო სადგომის პირდაპირ, პოლიციის მე-10 ნაწილში.

საიჯარო პირობათა შეტყობა შეიძლება ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების გამგეობაში ბ-ნ ტერ-ასატუროვთან. (5—39—1)